ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 17 დეკემბრის სხდომის

ოქმი №12

სხდომას ესწრებოდა: 31 წევრიდან – 19.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში

   მომხს: რ. ჯორბენაძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

2. რექტორის № 201/01-01, 13.11.2015 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მომზადების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი

3. 2010-2011- დან 2014-2015 წლების ჩათვლით დოქტორანტურაში ჩარიცხულთათვის თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი

მოისმინეს: 1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში სხდომის წევრებს გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. დურგლიშვილმა, თ. დოლბაიამ, მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.;

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში და ეთხოვოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საკითხის შესწავლის შემდგომ თსუ-ს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გატანა.

**საერთაშორსო ურთიერთობების დეპარტამენტი**

1. „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების“ პროგრამის ადმინისტრირება განხორციელდეს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ბაზაზე.

2. „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამაში სტატუსი შეიცვალეს შემდეგმა კურსებმა:

- „პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა“ ავტორი ფიქრია ასანიშვილი (5 კრედიტი), გახდა სავალდებულო /დანართი 1/.
- „განვითარებული და და განვითარებადი ქვეყნების საჯარო პოლიტიკა“ (5 კრედიტი), გახდა არჩევითი. ლექტორი ნოდარ ტანგიაშვილი, /დანართი №2/.

3. „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამას დაემატა:

სავალდებულო საგანი:

- „განვითარების ეკონომიკა“, ლექტორი ნინო პაპაჩაშვილი, (5 კრედიტი), /დანართი №3/;

არჩევითი საგნები:

- „ცივი ომი“ -ავტორი ტიმოტი ბლაუველტი, (5 კრედიტი), /დანართი №4/
- „პოსტ-საბჭოთა ქვეყნების იდენტობა და საგარეო პოლიტიკა“ ლექტორი ფიქრია ასანიშვილი, (5 კრედიტი), /დანართი №5/
- „ევროპეიზაციის ფორმები და შედეგები კავკასიაში: შესავალი ცნებაში და მისი გამოყენება“ - ოლივერ რაისნერი, (5 კრედიტი), /დანართი №6/

**ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი**

1. „კონფლიქტების ანალიზი და მართვის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცდნენ პროფესორები - გუგული მაღრაძე და რევაზ ჯორბენაძე.

2. პროგრამას დაემატა შემდეგი საგნები:
   - სამართლის საფუძვლები ლექორი დიმიტრი გეგენავა. (5 კრედიტი), /დანართი №7/
   - „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ ლექტორი ვახტანგ მაისაია. (5 კრედიტი), /დანართი №8/
   - „საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“ ლექტორი ვახტანგ მაისაია. (5 კრედიტი), /დანართი 9/

**ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

1. დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები“ (ხელმძღვანელი მ.გერსამია) მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შემდეგნაირად - მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი მედიის კვლევებში“.

2. „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებად არჩეული იქნენ ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი, თუმცა მ. ტორაძე, დ. ოსეფაშვილი და მ. გერსამიამ უარი განაცხადეს პროგრამის ხელმძღვანელობაზე. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებლად დამტკიცდნენ ასოცირებული პროფესორები - თამაზ ჯოლოგუა, ნანა ტალახაძე, მარი წერეთელი, ნათია კუპრაშვილი, რუსუდან ვაშაკიძე, მანანა შამილიშვილი; ხოლო პროგრამის კოორდინატორად - ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი.

3. ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის ქართულ-რუსული საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში საგნების დამატებების განხორციელება:
   - „აშშ-ის ჟურნალისტიკის გამოჩენილი სახეები" (5 კრედიტი) ავტორი ალექსანდრე ამირანაშვილი; /დანართი №10/
   - „მედია ანალიზი" (5 კრედიტი) ავტორი ხათუნა მაისაშვილი; /დანართი №11/.
   - „მსოფლიო მედია სისტემბი" (5 კერდიტი) ავტორი  ხათუნა მაისაშვილი; /დანართი№12/.
   - „ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები" (5 კრედიტი) ავტორი ლია ჩხიკვიშვილი  /დანართი №13/

სადოქტორო პროგრამა

1. დამტკიცდეს ახალი სადოქტორო პროგრამა -„დემოგრაფია", ხელმძღვანელები პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე და ასოცირებული პროფესორი  ანზორ სახვაძე /დანართი №14/.
2. დამტკიცდეს ახალი სადოქტორო პროგრამა -„ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება", ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია /დანართი №15/

საბაკალავრო პროგრამის საფაკულტეტო არჩევითი კურსი

1. ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის საფაკულტეტო არჩევითი კურსის სახით დაემატა 5 კრედიტიანი საგანი - „ევროპული და ევროატლატიკური ინტეგრაციის ისტორია", ლექტორები: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი, კონსტანტინე შუბითიძე /დანართი №16/.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამას დაემატა:

1. არჩევითი კურსის სახით -„საქართველოს რეგიონული ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები", ლექტორი: რუსუდან თევზაძე, (5 კრედიტი) /დანართი №17/
2. არჩევითი კუსრის სახით  - „ახალი აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები" ლექტორი: რევაზ გაჩეჩილაძე, (5 კრედიტი) /დანართი№18/

საბაკალავრო პროგრამა:

1. ცვლილებები შევიდა არჩევითი კურსის სილაბუსებში, საგანი - „გეოეკონომიკის საფუძვლები", (5 კრედიტი) /დანართი№19/.
2. საბაკალავრო პროგრამის ორი სასწავლი კურსი: 1. „მოსახლეობის გეოგრაფია" (არჩევითი) - ავტორი გიორგი გოგსაძე და „ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია" (სავალდებულო) - ავტორი მარინე ბოკერია შეიცვალა სტატუსი  და ათ კრედისტის ნაცვლად გახდა ხუთიანი. /დანართი №20; 21/.
3. საბაკალავრო პროგრამის კურსი სახელწოდებით  - „მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია" (არჩევითი) შეიცვალა სტატუსი

ათკრედიტიანის ნაცვლად გახდა ორ ნაწილიანი, შესაბამისად ხუთ-ხუთ კრედიტიანი. სახელწოდებაა: „მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 1, /ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა/და „მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 2, / აზია, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი /დანართი№22; 23/;

**სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

ცვლილებები „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის პროგრამაში:

1. სამაგსიტრო პროგრამის კურიკულუმში კრედიტების გადანაწილება მოხდეს შემდეგი სახით, 50 სავალდებულო, 30 არჩევითი, 10 თავისუფალი და 30 სამაგისტრო ნაშრომის. /დანართი №24/.
2. სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში ცვლილება - „გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკის" (შემოდგომის სემესტრი) ნაცვლად (რადგან ეს საგანი ამჟამად არ იკითხება), ჩაენაცვლოს საგანი „გენდერი და განვითარება" (გაზაფხულის სემესტრი) გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმიდან. /დანართი№25/
3. ცვლილება „მედია და ხელისუფლების" საგნის ლექტორთა შორის, ლექტორი ია ანთიძის ნაცვლად საგნის ლექტორი იქნება მოწვეული ლექტორი ირაკლი მეფარიშვილი. დანართი №26/

მოისმინეს: 2. რექტორის № 201/01-01, 13.11.2015 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მომზადების შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. მაცაბერიძემ, დ. ოსეფაშვილმა, მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: თსუ-ს ხარისხის განვითარების სამსახურს განსახილველად გაეგზავნოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის № 201/01-01, 13.11.2015 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის - საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ბოლო 5 წლის განმავლობაში დოქტორანტების მიერ დაცულ დისერტაციათა ჩამონათვალი.

მოისმინეს: 3. 2010-2011- დან 2014-2015 წლების ჩათვლით დოქტორანტურაში ჩარიცხულთათვის თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ. მან აღნიშნა, რომ რამდენიმე წელია არ განხორციელებულა დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება და ეს ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას; უფრო მეტიც, ზოგიერთმა დოქტორანტმა უკვე მეორედ შეიცვალა თემა და არც ერთი არაა

დამტკიცებული. ფაკულტეტის ადმინისტრაცია განაგრძობს დოქტორანტურის დოკუმენტაციის შემოწმებასა და სამწუხაროდ შეიძლება ისევ შეიქმნას მსგავსი მდგომარეობა.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, მ. მაცაბერიძემ, ა. ბერძენიშვილმა, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2010-2011- დან 2014-2015 წლების ჩათვლით დოქტორანტურაში ჩარიცხულთათვის სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები შემდეგი სახით:

2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩარიცხვა:

სადოქტორო პროგრამა - მასობრივი კომუნიკაცია:

1. უროტაძე გრიგოლ - "სპორტული აქტივობები მასობრივი კომუნიკაციის კონტექსტში". ხელმძღვანელი: პროფესორი, მარიამ გერსამია

2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულ დოქტორანტებს სადისერტაციო საბჭომ დაუმტკიცა სადისერტაციო თემები და მეცნიერ ხელმძღვანელები შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

სადოქტორო პროგრამა - კონფლიქტების ანალიზი და მართვა:

2. ბაქრაძე ლელა – "სოციალური წარმოდგენები ძალადობის შესახებ". ხელმძღვანელი: პროფესორი, რევაზ ჯორბენაძე
3. ვასაძე ქეთევან – "ძალადობა, ვერბალური აგრესია და კონფლიქტების მართვა სკოლებში". ხელმძღვანელები: პროფესორები,რევაზ ჯორბენაძე, გუგული მაღრაძე
4. შენგელია აკაკი – "კონფლიქტის ესკალაციის წინაპირობები მედიაში". ხელმძღვანელი: პროფესორი, რევაზ ჯორბენაძე
5. ცობეხია ირაკლი – "მუსლიმი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებული პრობლემები". ხელმძღვანელი: პროფესორი, რევაზ ჯორბენაძე

2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩარიცხვა:

სადოქტორო პროგრამა - კონფლიქტების ანალიზი და მართვა

6. აბრამიშვილი მირანდა – "ეთნოგეოგრაფიული ფაქტორების გავლენა კონფლიქტის დინამიკაზე". ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, თამარ კიკნაძე

სადოქტორო პროგრამა - მასობრივი კომუნიკაცია

7. ბასილაია ეკატერინე – "რელიგიის საკითხების ფრეიმინგი ქართულ მედიაში". ხელმძღვანელი: პროფესორი, მარიამ გერსამია
8. სეხნიაშვილი მარიამ – "მასობრივი კომუნიკაცია თანამედროვე მარკეტინგში-ინოვაციური ტექნოლოგიები". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ნინო დურგლიშვილი

სადოქტორო პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერება

9. **გოგსაძე გიორგი** – “დემოკრატიზაციის პროცესი პოსტსაბჭოთა სივრცეში და პოლიტიკური ძალაუფლების ფორმირების თავისებურებები საქართველოში”. ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი
10. **მანჩხაშვილი მაია** – “თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი”. ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე
11. **ნარდაია ადა** - "ერთი სარკმლიდან -ერთ შენობამდე": იუსტიციის სახლების გავლენა საჯარო სექტორის რეფორმირების შემდგომ ეტაპზე საქართველოში”. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი
12. **უროტაძე ჯაბა** – “საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება”. ხელმძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია.
13. **ქევხიშვილი მარიანა** – “საქართველოს ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების ლობისტური საქმიანობა აშშ-ში თანამედროვე ეტაპზე”. ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე
14. **დიასამიძე ზვიად** – “პოლიტიკური მმართველობის ფორმა და დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაცია: საქართველოს და ესტონეთის შედარებითი ანალიზი”. ხელმძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია

სადოქტორო პროგრამა - საზოგადოებრივი გეოგრაფია

15. **გორგილაძე ნესტან** - “სოფლის მეურნეობის დარგობრივი და სივრცითი სტრუქტურა და მისი გავლენა ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე აჭარაში”. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი, მერაბ ფუტკარაძე
16. **ლეკვეიშვილი გიორგი** – “ადგილობრივი ენერგოსექტორის განვითარების რეგიონული პრობლემები საქართველოში”. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვალერი მელიქიძე
17. **მიშველიძე ალექსანდრე** – “ტერიტორიული ძვრები აზერბაიჯანის მრეწველობაში”. ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ სალუქვაძე
18. **ქრისტესაშვილი ეკატერინე** – “საქართველოში დემოკრატიული მმართველობის ფორმირების და ფუნქციონირების რეგიონული თავისებურებები (ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების მაგალითზე)”. ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე.

სადოქტორო პროგრამა - სოციალური მუშაობა

19. **ბოლქვაძე ნინო** – “ხანდაზმულთა სოციალური კეთილდრეობის დაცვის სისტემის განვითარება საქართველოში ეკლესიისა და მთავრობის თანამშრომლობის საფუძველზე”. ხელმძღვანელი: მარკ დოელი

სადოქტორო პროგრამა - სოციოლოგია

20. **წიკლაური ანა** – “სოციალური მედიის განვითარება საქართველოში”. ხელმძღვანელი: პროფესორი, ამირან ბერძენიშვილი

2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ჩარიცხვა:

სადოქტორო პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერება

21. ცინცქილაძე ინგა – "დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხი საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჭრილში". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა.

2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩარიცხვა:

სადოქტორო პროგრამა - გენდერის კვლევა

22. გეჯაძე ეკატერინე – "ქალთა მოძრაობები თანამედროვე საქართველოში სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებისათვის". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, თამარ საბედაშვილი
23. რეხვიაშვილი ანა – "ურთიერთობა გენდერსა და ნაციონალიზმს შორის თანამედროვე საქართველოში". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი

სადოქტორო პროგრამა -კონფლიქტების ანალიზი და მართვა:

24. მანიაშვილი ნინო – "კონფლიქტების გაშუქება პრესაში". ხელმძღვანელები: პროფესორები გუგული მაღრაძე და დალი ოსეფაშვილი.
25. შავერდაშვილი ნინო – "ქართველების ქცევის სპეციფიკა მოლაპარაკების მიმდინარეობისას". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლალი სურმანიძე

სადოქტორო პროგრამა - მასობრივი კომუნიკაცია

26. გოგინაშვილი ბექა – "თავისუფლების ხარისხი დღევანდელ ქართულ ბეჭდურ მედიაში". ხელმძღვანელი: პროფესორი დალი ოსეფაშვილი.
27. გონგლაძე თეონა – "სექსუალური უმცირესობების საკითხების გაშუქება მედიაში". ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ გერსამია
28. დვალიშვილი თინათინ – "სოციალური მედიის გავლენა მედიაორგანიზაციათა მენეჯმენტზე". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ნათია კუპრაშვილი
29. სვანიძე ნათია - "საგაზეთო სვეტის ტრანსფორმაციის სპეციფიკა ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესში". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი

სადოქტორო პროგრამა -პოლიტიკის მეცნიერება

30. მინესაშვილი სალომე – "იდენტობა და საგარეო პოლიტიკა ქართულ კონტექსტში". ხემძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია.
31. სიხარულიძე არჩილ – "პოლიტიკური მენტალიტეტის ტრანსფორმაცია პოსტ-საბჭოთა საქართველოში". ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე
32. შავთვალაძე მიხეილ – "კონსოციალური მოდელი პოსტსაბჭოთა მრავალეთნიკური სახელმწიფოებისათვის: კონსოციალური მიდგომის

პოტენციალის შესწავლა საქართველოში მეტი დემოკრატიული სტაბილურობის მისაღწევად". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა

სადოქტორო პროგრამა - საზოგადოებრივი გეოგრაფია

33. დარჯანია ელენა – "საცხოვრისის ფორმირება და საქალაქო სივრცის დიფერენციაცია ("გახლეჩვა") საქართველოს ქალაქებში (თბილისის მაგალითზე)". ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ სალუქვაძე.

34. ხუჯაძე კონსტანტინე – "ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში ჩართულობის რეგიონული თავისებურებები საქართველოში". ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე.
35. ჯავაშვილი ანა – "ტურიზმის ინდუსტრია როგორც ქალაქმაფორმირებელი ფაქტორი საქართველოს ქალაქების მაგალითზე". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი

სადოქტორო პროგრამა - სოციოლოგია

36. ქევხიშვილი მარინე – "სოციალური მედია და ქართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციები". ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია

ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი

ასოცირებული პროფესორი

17 ნოემბერი, 2015წ

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

### ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

### სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

### საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. სერგი კაპანაძე
9. თორნიკე თურმანიძე

### პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

### ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

### საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია
22. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

23. რევაზ ჯორბენაძე
24. ნოდარ ბელქანია

სტუდენტური თვითმმართველობა

25. შალვა საბაური
26. გიორგი კაკაურიძე
27. თორნიკე ცინაძე
28. მაგდა გიბიშვილი
29. მაჭავარიანი დავით
30. გვანცა გავაშელი
31. ტარიელ ირემაძე